## დანაკლისის შემთხვევაში დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაცია 1125

### ფაქტობრივი გარემოებები

- პირი არ არის დღგ-ის გადამხდელი. 12 უწყვეტი კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებულმა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხამ 90 000 ლარი შეადგინა
- ამავე პერიოდში საგადასახადო ორგანოს მიერ მას დაუფიქსირდა 30 000 ლარის სმფ-ის დანაკლისი

### შეფასება

- 2010 წლის 1 აგვისტოდან საქონლის დანაკლისი მიწოდებად არ განიხილება
- მოცემულ შემთხვევაში პირს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება არ წარმოექმნება

### ღონისძიებები

- სსკ 143-ე მუხლის შესაბამისად პირი დაჯარიმდება გამოვლენილი დანაკლისის საბაზრო ღირებულების 50%-ის ოდენობით

**ანოტაცია**

**„დანაკლისის შემთხვევაში დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაცია" №1125 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციასა და დღგ-ით დაბეგვრასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, საქონლის დანაკლისი განიხილებოდა მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასებით განხორციელებულ მიწოდებად. თუმცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2010 წლის 1 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებით საქონლის დანაკლისი აღარ განიხილებოდა მიწოდებად.

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელო შემუშავებულია ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

2011 წლის 1 იანვრიდან მოქმედ საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელდა ცვლილება 2011 წლის 28 ივნისს, რომლის შესაბამისადაც, ცალსახად განისაზღვრა, რომ საქონლის დანაკლისი განიხილება მიწოდებად, გარდა ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისისა. ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2015 წლის 1 მაისს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, სსკ-ის 286-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელთან ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა სიტუაციური სახელმძღვანელოს ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.